ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ30. 3025050001**
თარიღი:**19/02/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №27.06.48.890; ს/კ №27.06.48.895) პირობიანი განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქალაქ ლანჩხუთში 27.06.48.890 საკადასტრო კოდზე მდებარე 41236 კვ.მ. და 27.06.48.895 საკადასტრო კოდზე მდებარე 282489 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განმეორებითი, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, რომლის განკარგვა არ განხორციელდა განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ჩატარების დროს. (განაცხადის N74050IOM105130825; აუქციონის N74050; ლოტის N 1051308)

2. განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზნით, პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 2 996 949,46 (ორიმილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტიათას ცხრაას ორმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარი შემცირდეს 49%-თ და მისი ოდენობა განისაზღვროს 1 528 444,22 (ერთიმილიონ ხუთასოცდარვაათას ოთხას ორმოცდაოთხი ლარი და ოცდაორი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯის სიდიდე განისაზღვროს შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 1%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 15 284,44 (თხუთმეტიათას ორას ოთხმოცდაოთხი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარს.

3. განმეორებითი ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს მოთხოვნა - აუქციონში გამარჯვებულმა პირი/მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული

დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

გ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების განვითარების მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე განახორციელოს არანაკლებ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის (დღგ-ს გათვალისწინების გარეშე) ინვესტიცია;

დ) საპრივატიზებოდ გამოტანილი მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ, ს.კ. 27.06.48.022, ს.კ. 27.06.48.132 და ს.კ. 27.06.48.341 რეგისტრირებულ უძრავ ქონებებთან, განახორციელოს მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) თვის ვადაში.

4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმითა და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობები შესრულებულად ითვლება მუნიციპალიტეტის მიერ დადასტურების მომენტიდან. საპრივატიზებო პირობების შესრულების დასტურად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აკრედიტაციის/ლიცენზიის მქონე სუბიექტის დასკვნა.

5. განმეორებითი, ელექტრონული აუქციონის ფორმით გამოცხადება და ჩატარების ორგანიზება დაევალოს აუქციონატორს (თორნიკე ტიკაძეს).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი – ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა N14 კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი